

სამეცნიერო ჟურნალი

*„Scripta manent“*

*საქართველო*

№2 (10)

2011

ჟურნალი დაფუძნებულია  
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



*Scientific magazin*

*Научный журнал*

*„Scripta manent“*

*GEORGIA*

*ГРУЗИЯ*

*№2 (10)*

*2011*

*OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION*

*АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ*

ISSN 1987-7390  
UDK (უაკ) 81+82  
S-41

## სარედაქციო კოლეგია:

მაია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

## რედაქციის წევრები:

ვიოლა ფურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუპი, კულაუ ბიბიტოვა, სილვია ბოტევა,  
ტანია ბრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, ია გურდული, მარია მიხაილოვა,  
ტატიანა მებრელიშვილი, ალბა ბრაცინო, ალმენდრა სპაღაფორა, გიორგი ყუფარაძე.

## მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII

ტელ. : 36 51 76

E-mail. : r.tabukashvili@gmail.com

## ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail.ru

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:  
[www.odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

**Editorial Board:**

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck, Kulpash Beibitova, Tania Griebhammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova, Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia

Tel. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

**Редакционная коллегия:**

Маия Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук, Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Ия Бурдули, Мария Михайлова, Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

## რელაქციისაბან

ჟურნალი აქვეყნებს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ყველა მიმდინარეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს და ადგილს უთმობს აგრეთვე რეცენზიებსა და თარგმანებს.

პროფესიონალ ლინგვისტთა და ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ფილოლოგიის, როგორც ერთ-ერთი ძირძველი ჰუმანიტარული მეცნიერების პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და სტუდენტთა ნაშრომებს.

## სარჩევი

<b>ციური ახელედიანი, ნონა რუაძე</b> ფრანგული ფრაზეოლოგიისა და ეთნოკულტურის ურთიერთკავშირი.....	9
<b>ქეთევან გაბუნია, ნათია ღვინიაშვილი</b> სოციალური კლასები და ლინგვისტური ცვლილებები.....	14
<b>ქეთევან გაბუნია, ცისანა შერგილაშვილი</b> ენა და პოლიტიკა. ენობრივი პოლიტიკის საკითხისათვის.....	18
<b>ეკატერინე გელოვანი</b> ფრაზეოლოგია ეფექტურ ვერბალურ კომუნიკაციაში.....	23
<b>რუსუდან გოცირიძე</b> ინოვაციური ენობრივი განათლების ძირითადი მახასიათებლები.....	28
<b>რუსუდან გოცირიძე</b> მულტიმედია და ინტერნეტ რესურსები როგორც სოციოკულტურული კომუნიკაციის ახალი ფორმა.....	32
<b>ნანა გუნცაძე</b> ა. რემბოს „ხმოვნების“ სონეტი.....	36
<b>ნანა გუნცაძე</b> როგორ წავიკითხოთ რემბოს „ერთი სეზონი ჯოჯოხეთში“.....	44
<b>მარინა ზორანიანი</b> ინგლისური ენის სპეციალური მიზნებისათვის (ESP) სწავლების პრობლემა ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის .....	54
<b>ვიდას კავალიაუსკასი</b> -inti სუფიქსიანი ზმნების აქცენტის სისტემა ლიტვურ სტანდარტულ ენაში.....	58
<b>მარინე კობეშავიძე</b> მორფოლოგიური და სიტყვაწარმოებითი ანალიზის ურთიერთქმედებისათვის თანამედროვე ესპანურ ენაში .....	64
<b>დარეჯან ლაბუჩიძე</b> ქართული ზმნის სპეციფიკა და თარგმანის ადეკვატურობა.....	69
<b>თამარ მაჭავარიანი</b> სიმეტრიული და კომპლემენტარული კომუნიკაცია.....	74
<b>ლიანა ციმაკურიძე</b> 25-ე კადრის ფენომენის აკრძალვის მიზეზი.....	78
<b>ნინო ჭრიკიშვილი</b> პრეროდანული ლინგვისტური სუბსტრატი ესპანურ ენაში.....	82
<b>სოფიკო ფეტელავა</b> მთარგმნელის როლი გლობალურ ბიზნესში.....	87
<b>ქეთევან ჯაში, ნათია აბაშიძე</b> სინონიმურ პარონიმთა ტიპები თანამედროვე ფრანგულ ენაში .....	92
<b>მარინე ჯაში</b> სიმრავლის ველი გერმანულ და ქართულ ენებში.....	99

## Contents

<b>Tsiuri A. Akhvlediani, Nona N. Rouadze</b> Interrelation of French Phraseology and Its Ethnoculture.....	9
<b>Ketevan U. Gabunia, Natia S. Gviniashvili</b> Social Classes and Its Lingual Changes.....	14
<b>Ketevan U. Gabunia, Tsisana G. Shergilashvili</b> Politic and Language. To the Lingual Politic Question.....	18
<b>Ekaterine A. Gelovani</b> Phraseology in Effective Verbal Communication.....	23
<b>Rusudan A. Gotsiridze</b> Main Characteristics of Innovations in Language Education.....	28
<b>Rusudan A. Gotsiridze</b> Multimedia and Internet Resources – New Forms of Socio Cultural Communication .....	32
<b>Nana P. Guntsadze</b> „Vowels“ Sonet by A. Rambo .....	36
<b>Nana P. Guntsadze</b> How to read „One Season in the Hell“ by A. Rambo.....	44
<b>Marina G. Zoranian</b> On Problem of Teaching ESP to students of Technical Higher Education Institutions.....	54
<b>Vidas Kavaliauskas</b> Stress system of Verbs with suffix -inti in Lithuanian Standart Language.....	58
<b>Marine Kobeshavidze</b> Morphological and Word-Formative Aspects Cooperation in Modern Spanish Language .....	64
<b>Darejan A. Laboutchidze</b> Specifics of a Georgian Verb and Translation Adequacy.....	69
<b>Tamar Sh. Matchavariani</b> Symmetrical and Complementary Communication.....	74
<b>Liana J. Tsimakuridze</b> The Resents of Prohibition 25th Frame Phenomenal.....	78
<b>Nino G. Chrikishvili</b> Pre-Roman Lingual Substrate in Spanish Language.....	82
<b>Sophiko N. Petelava</b> Role of Translators in Global Business.....	87
<b>Ketevan N. Djachy, Natia Abashidze</b> The Typology of Synonymic Paronyms in the Modern French Language .....	92
<b>Marina N. Djachy</b> The Field of Notion of Multitude in the German and Georgian Languages.....	99

## Содержание

<b>Циури Ахвледиани, Нона Руадзе</b> Взаимосвязь французской фразеологии и этнокультуры .....	9
<b>Кетеван Габуня, Натия Гвиниашвили</b> Социальные классы и лингвистические изменения .....	14
<b>Кетеван Габуня, Цисана Шергилашвили</b> Язык и политика. К вопросу лингвистической политики .....	18
<b>Екатерина Геловани</b> Фразеология в эффективной вербальной коммуникации.....	23
<b>Русудан Гоциридзе</b> Характерные свойства инновационного языкового образования.....	28
<b>Русудан Гоциридзе</b> Мультимедия и интернет ресурсы – новые формы социокультурной коммуникации .....	32
<b>Нана Гунцадзе</b> Сонет А. Рембо „Гласные“.....	36
<b>Нана Гунцадзе</b> Как прочесть „Один сезон в аду“ А. Рембо .....	44
<b>Марина Зораян</b> К проблеме обучения EPS студентов технических вузов .....	54
<b>Видас Кавалаяускас</b> Система акцента глаголов с суффиксом -inti в литовском стандартном языке.....	58
<b>Марине Кобешавидзе</b> Взаимодействие морфологических и словообразовательных аспектов в современном испанском языке.....	64
<b>Дареджан Лабучидзе</b> Специфика грузинского глагола и адекватность перевода.....	69
<b>Тамар Мачавариани</b> Симметричная и комплементарная коммуникация.....	74
<b>Лиана Цимакуридзе</b> Причины запрета феномена 25-го кадра .....	78
<b>Нино Чрикишвили</b> Пре-римский лингвистический субстрат в испанском языке .....	82
<b>Софико Петелава</b> Роль переводчика в глобальном бизнесе .....	87
<b>Кетеван Джаши, Натия Абашидзе</b> Типы синонимических паронимов в современном французском языке .....	92
<b>Марина Джаши</b> Поле множественности в немецком и грузинском языках.....	99



## სიმრავლის ველი გერმანულ და ქართულ ენებში

მარინე ჯაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. 32, 0179 თბილისი, საქართველო

ტელ.: 899 552 195

E-mail : [marina\\_dshaschi@yahoo.com](mailto:marina_dshaschi@yahoo.com)

### რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილული და განსაზღვრულია სიმრავლის ველი ორ არამონათესავე - გერმანულ და ქართულ ენაში; წარმოდგენილი და გაანალიზებულია ამ მოვლენის გამოსატვის როგორც ექსპლიციტური, ასევე იმპლიციტური საშუალებები. შეპირისპირებისას გამოვლენილია საერთო განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც განპირობებულია ორივე ენის ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებებით. სტატიაში ნაჩვენებია, რომ სიმრავლის ველის დომინანტას ორივე ენაში წარმოადგენს არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები, რომლებიც ფორმალურად და სემანტიკურად სიმრავლის სემის მატარებელია.

### საკვანძო სიტყვები:

„წმინდა სიმრავლე“, „ცარიელი ფუნქცია“, განსაზღვრული და განუსაზღვრელი რაოდენობა, ერთობლივი სიმრავლე, ექსპლიციტური და იმპლიციტური სიმრავლე.

### შესავალი

სიმრავლის ველი ენაში გამოიხატება სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით:

1. არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებით; 2. საუღლებელი ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმებით, რომლებიც ეთანხმებიან არსებით სახელებს ან ნაცვალსახელებს ქვემდებარის ფუნქციაში; 3. რიცხვითი სახელებით; 4. რაოდენობრივი ნაცვალსახელებით; 5. მრავლობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელებით; 6. კრებითი სახელებით. ყველა ეს საშუალება არ არის ერთგვაროვანი და ტოლფასი: ერთნი გამოხატავენ „წმინდა სიმრავლეს“, ხოლო მეორენი აზუსტებენ ან ახდენენ რაოდენობრივი მიმართებების მოდიფიკაციას. ველის ცენტრს წარმოადგენს არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები, ე. ი. ისინი ქმნიან სიმრავლის ველის დომინანტას, ზედსართავი სახელები, ზმნა და პირის ნაცვალსახელები იმეორებენ არსებითი სახელის სიმრავლის მნიშვნელობას, რადგან მას ფორმალურად ეთანხმებიან. მრავლობითი რიცხვის 1-ლი და მე-2 პირის ნაცვალსახელები კი გადმოსცემენ სამეტყველო აქტში მონაწილე პირთა სიმრავლეს. „მრავლობითობის“ სემას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მოდიფიკაცია კონკრეტული ლექსიკური შევსების მიხედვით. სიმრავლის ველის სხვა ლექსიკური კომპონენტები წარმოადგენენ უფრო სიმრავლის კონკრეტიზაციას. განუსაზღვრელი ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები, რომლებიც თან ახლავს არსებით სახელს, აკონკრეტებენ სიმრავლეს წმინდა რაოდენობრივად, როგორც განსაზღვრული ან განუსაზღვრელი სიმრავლე. მიახლოებითი შეფასების ზმნიხედები რიცხვით სახელთან ერთად გამოხატავენ დაახლოებით სიმრავლეს. კრებითი სახელები კი, რომლებიც თან ახლავს არსებით სახელს

ან ცვლის მას, აკონკრეტებენ სიმრავლეს ხარისხობრივად, როგორც ერთობლივი სიმრავლე [გულიგა, შენდელსი. 1969: 19].

### ძირითადი ნაწილი

გერმანულ ენაში მრავლობითი რიცხვის ფორმების საწარმოებლად არსებობს რამდენიმე საშუალება / სპეციალური მარკერები /: სუფიქსები -e, -er, -en, -s, / უმლაუტი, არტიკლი /: Tische, Bücher, Studenten, Klubs, Hände, Lehrer. მათი რეალიზაციის ლექსიკურ პირობას წარმოადგენს შესაბამისი ცნებების თვალდობის მნიშვნელობა, ამიტომ ყველაზე მკაფიოდ ისინი ვლინდებიან საზოგადო სახელების ჯგუფში, მაგ.: der Baum – die Bäume, der Stuhl – die Stühle, die Nuß – die Nüsse, და ა.შ. მაგრამ აქაც „მრავლობითობის“ სემის ქვეშ შეიძლება იმპლიციტურად არსებობდეს სხვადასხვა შინაარსი, მაგ.: 1. წყვილობა: **Hände, Augen, Ohren, Schuhe**; წყვილობა ან არაწყვილობა განისაზღვრება მხოლოდ კონტექსტით ან სიტუაციით: **meine Augen, viele Augen**; 2. საგანთა სიმრავლე სივრცეში: **Tiere, Bäume, Blumen**, 3. მონაკვეთთა სიმრავლე დროში: **Tage, Jahre**, 4. მოქმედებათა განმეორებადობა ან ციკლურობა: **Schritte, Schläge** გვაქვს შემთხვევები, როცა რიცხვის ფორმა ივსება არათვლადი ცნებების სახელებით, ამიტომ არა გვაქვს დაპირისპირება „მხოლოდობითი რიცხვი – მრავლობითი რიცხვი“. სემები „მხოლოდობითი რიცხვი – მრავლობითი რიცხვი“ ქრება, ხოლო ამა თუ იმ რიცხვის ფორმა ასრულებს „ცარიელ ფუნქციას“ (Leerlauffunktion) [კოშმიდერი. 1965: 10]. აქ შემოდის სწორედ ე. წ. Pluraliatantum-სა და Singulariatantum-ის ფორმები: **Reis, Schnee, Zorn, Pocken, Ostern, Pfingsten**. თუმცა მათ გააჩნიათ რიცხვითი ფორმები, ისინი მაინც გამოირჩევიან უთვლადობის მნიშვნელობით და ანეიტრალდებენ

როგორც „მხოლოდობითობის“, ასევე „მრავლობითობის“ სემებს. სწორედ ეს არის ფორმის „ცარიელი ფუნქცია“, როცა ფორმა აღარ გამოხატავს მისთვის ნიშანდობლივ გრამატიკულ მნიშვნელობას. ამას მოწმობს ენაში გრამატიკული დუბლეტების არსებობა იგივეობრივი მნიშვნელობით: **das Möbel – die Möbel, das Haar – die Haare** [შენდელსი. 1979: 25]. გვაქვს შემთხვევები, როცა მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის კორელაცია შესაძლებელია, მაგრამ სემები ზუსტადაა დაპირისპირებული და ისინი ნეიტრალიზებულია: **die Luft – die Lüfte, der Wind – die Winde**. მრავლობითი რიცხვის ფორმები აქ აძლიერებენ გამოხატულ ცნებას, ანიჭებენ მას მეტ ექსპრესიას. მათ ხშირად იყენებენ პოეზიაში, მხატვრულ პროზაში, მაგ.: **Wo die freien Lüfte wehen** (H. Heine). არის შემთხვევები, როცა მრავლობითი რიცხვის ფორმა აღიქმება როგორც მხოლოდობითი რიცხვის ფორმა, როდესაც სიტყვის შიდა ფორმა დაკარგულია და მისი ეტიმოლოგია დავიწყებული და ამდენად იქმნება ახალი კორელაცია: **der Keks – die Kekse** (cakes – ინგლ. – ნამცხვრები). სიტყვამ შეიძლება მიიღოს ახალი მნიშვნელობა, რომელიც დაკავშირებულია თვლად ცნებასთან. ასეთ შემთხვევაში კორელაცია „მხოლოდობითი რიცხვი – მრავლობითი რიცხვი“ ფორმალური ნიშანია, რომელიც ორ მნიშვნელობას ანსხვავებს: **die Schönheit** - სილამაზე (აბსტრ), მრავლობითი არა აქვს, და **die Schönheit – die Schönheiten** (ლამაზმანი, ან ლამაზი ადგილი), მრავლობითი აქვს, ან **das Brot** - უთვლადი ცნება (ნივთიერება), მრავლ. არ გააჩნია, **das Brot – die Brote** (ცალკეული გამომცხვარი პური), მრავლ. გააჩნია.

### 1. რიცხვთა კორელაცია საკუთარ სახელებთან

საკუთარ სახელებში რიცხვთა კორელაცია შესაძლებელია, როცა: ა) ლაპარა-

კია ერთი გვარის ადამიანებზე : **die Müllers**,  
ბ) აღინიშნება მთელი ოჯახი ან გვარი: **die Familie Müller**, გ) საკუთარი სახელების გადასვლისას საზოგადო სახელებში: **die Welingthons** (მაღალყელიანი ჩექმების სახეობა)

## 2. განუსაზღვრელი და განსაზღვრული რაოდენობა

მრავლობითი რიცხვის ფორმა, როცა გვაქვს დაპირისპირება „მხოლოდ ერთი რიცხვი – მრავლობითი რიცხვი“, გადმოსცემს მხოლოდ ერთ აზრობრივ ნიშანს „ერთზე მეტი, გარკვეული რაოდენობა“.

ეს არის „მრავლობითობის“ სემა, მაგრამ ეს ფორმა ნაკლებ ინფორმატიულია, იგი არაფერს გვატყობინებს არც საგნების რიცხვზე, არც მათ ურთიერთკავშირზე. მეტი ინფორმატიულობით გამოირჩევა ლექსიკური დონის სხვა ენობრივი საშუალებები. კიდევ ერთი სემანტიკური ელფერის გამოსახატავად საჭიროა სემა „განუსაზღვრელი რაოდენობა“ ან სემა „განსაზღვრული რაოდენობა“. ამაში არსებით სახელებს ეხმარება რაოდენობრივი ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები. რაოდენობრივი ნაცვალსახელები გამოხატავენ განუსაზღვრელ რაოდენობას: **alle, sämtliche, mehrere, viele, einige, etliche, manche, wenige, ein paar Werkzeuge**. ისინი ჩვეულებრივ თან ახლავს არსებით სახელს მრავლობით რიცხვში, უერთებენ რა „მრავლობითობის“ სემას თავის სემებს და აკონკრეტებენ სიმრავლის ცნებას. რიცხვითი სახელები განსაზღვრული რაოდენობის გამომხატველია. ისინი იძლევიან ზუსტ რაოდენობრივ ინფორმაციას: 2, 10, 30 **Jahre** ან ინფორმაციას რიგით ნომერზე : **das dritte Jahr, der fünfte Tag**. ისინიც თან ახლავს არსებით სახელს, ამასთან აკონკრეტებენ რაოდენობრივ მიმართებებს. ხანდახან რიცხვითი სახელები: 3, 4, 5 სინონიმურია ნაცვალსახელისა **einige: Warten Sie**

**bitte 5 Minuten! Ich brauche bloß 4, 5 Nägel und einen Hammer**. რიცხვითი არსებითი სახელები კი **das Dutzend, das Hundert, das Tausend, die Million**, კონკრეტული რიცხობრივი მნიშვნელობის მიუხედავად ხშირად იხმარება **viele, mehrere** ნაცვალსახელთა სინონიმურად: **Dutzend Fragen; Hunderte, Tausende von Menschen; „Seid umschlungen, Millionen!**

## 3. მიახლოებითი რაოდენობა

არსებობს ზმნიზედათა მთელი ჯგუფი, რომელიც გადმოსცემს სემას „მიახლოებითი რაოდენობა“. რიცხვით სახელთან კავშირში „მიახლოებითობის“ სემა უერთდება სემას „განსაზღვრული რაოდენობა“: **gegen, etwa, ungefähr, nahezu, kaum 100 Euro**.

## 4. ერთობლივი სიმრავლე

კრებითი სახელები ერთობლივი სიმრავლის მარკერებია, მაგ. **Die Berge – das Gebirge**. ამ სიტყვათა გრამატიკული მნიშვნელობები ახლოსაა, მაგრამ ტოლფასი არაა; პირველი სიტყვა მრავლობითი რიცხვის ფორმით გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ერთზე მეტი მთაა, მეორე კი მხოლოდ ერთ რიცხვის ფორმით შეიცავს იგივე ინფორმაციას, მაგრამ მას ემატება კიდევ ერთი: მთები ერთმანეთთან არის შეერთებული და ქმნის მთიან ჯაჭვს, ე. ი. „მრავლობითობის“ სემას ემატება სემა „ერთობლიობა“. ამიტომ კრებით სახელებს შეიძლება ვუწოდოთ „ერთობლივი სიმრავლის“ გამოხატვის ენობრივი საშუალებები. თუ კრებითი სიტყვისაგან ვაწარმოებთ მრავლობით რიცხვს, მაშინ მას მიემატება კიდევ ერთი სემა „მრავლობითობა“ და გვექნება უკვე „ორმაგი მრავლობითი“, ანუ „მრავლობითი კვადრატში“: **das Gebirge – die Gebirge**.

ყველა კრებით სახელს არა აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა, მაგ. **das Geflügel, das Geschirr, das Gemüse** და ყველას არ გააჩნია მხოლოდითი რიცხვის ფორმა: **die**

**Eltern, die Geschwister** სიმრავლის ელემენტებს შორის კავშირის ხასიათი სხვადასხვაა: ის შეიძლება იყოს ერთგვაროვან საგანთა ერთობლიობა: **das Gebirge= Berg+Berg+Berg** ან არაერთგვაროვან საგანთა ერთობლიობა: **das Geflügel = Huhn + Gans + Ente**. ეს უკანასკნელი არ არიან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ერთ რომელიმე ინდივიდუალურ საზოგადო სახელთან და ამიტომ არ უპირისპირდებიან ერთი რომელიმე სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმას. ისინი თავის მნიშვნელობაში აერთიანებენ რამდენიმე სიტყვას და წარმოადგენენ გამოსატვის ტევად და ეკონომიურ საშუალებას, მაგ.: **Gemüse** -ბოსტნეულის სხვადასხვა სახეობა და **Getreide** - სხვადასხვა მარცვლეული კულტურები. არსებობს ერთობლივი სიმრავლის გამოსატვის სხვა საშუალებები, მაგ.: **eine Schar Kinder, ein Stoß Teller**. აქ ადგილი აქვს სემანტიკური დატვირთვის განაწილებას: ერთ არსებით სახელს აქვს სემა „ერთობლიობა“, მეორეს კი სემა „სიმრავლე“. მაგრამ აქ გვაქვს გარკვეული შეზღუდვები: ზოგს გააჩნია შეთანხმების უფრო ფართო სპექტრი, როგორცაა: **Reihe, Anzahl, Menge** და უთანხმდებიან სხვადასხვა თემატური ჯგუფის არსებით სახელებს: **Menschen, Papiere, Steine, Autos**, ზოგი კი შეზღუდული შეთანხმებით გამოირჩევა: **ein Spiel Karten, ein Strauß Blumen, ein Rudel Wölfe, Hirsche** [კოსიაკინი. 1962:11]. სიტყვები **Schar, Bündel, Schwarm** დასაშვებია მხოლოდ სულიერ არსებით სახელებთან, უსულო საგნებთან კი იხმარება: **Bündel, Stoß, Ballen**. სიტყვა **Haufen** ამ მიმართულებით ნეიტრალურია: **ein Haufen Menschen, Arbeit**. მაგრამ ყოველი ჯგუფის შიგნით არსებობს კიდევ უფრო ვიწრო დიფერენციაცია: **Herde** განეკუთვნება მხოლოდ შინაურ ცხოველებს, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს: **eine Herde Ziegen, Schafe, Rinder**. სიტყვები **Rudel, Meute** განეკუთვნება გარეულ

ცხოველებს: **ein Rudel Wölfe, Hirsche**, მაგრამ შეიძლება აგრეთვე: **ein Rudel Hunde, eine Meute Hunde**. სიტყვა **Schwarm** განეკუთვნება ფრთოსანი მწერების და თევზების თემატურ ჯგუფს: **ein Schwarm Fliegen, Bienen, Heringe**, სიტყვა **Zug** განეკუთვნება ფრინველებს და თევზებს: **ein Zug Fische, Kraniche**. კრებითი სახელები, რომლებიც განეკუთვნებიან უსულო საგნების თემატურ ჯგუფს, მიუთითებენ სიმრავლის კომპონენტთა განლაგებაზე, ერთობლიობის ფორმაზე: **Stoß, Stapel** მიუთითებენ საგანთა ერთიმეორეზე დახვავებაზე : **ein Stoß (Stapel) Teller, Bücher**, სიტყვა **Bündel** კი მიუთითებს კომპონენტთა შეკავშირებაზე: **ein Bündel Holz, Kleider**. გადატანითი მნიშვნელობის დროს ამ სიტყვათა შეთანხმების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ფართოვდება: **Sie ist ein Bündel Nerven**. კრებით სახელებს შეუძლიათ დაახასიათონ სიმრავლე მისი სიდიდის მიხედვით, მაგ. **Haufen** მიუთითებს სიმრავლის უფრო მცირე მოცულობაზე, ვიდრე **Schar: Bald werden die Haufen zu Scharen, bald die Scharen zu Heeren** [კოსიაკინი. 1962:11].

### 5. იმპლიციტური სიმრავლე

ექსპლიციტური სიმრავლის გარდა გერმანულ ენაში არსებობს იმპლიციტური სიმრავლე. ეს ის შემთხვევებია, როცა სიმრავლის მნიშვნელობის ფორმალური ნიშნების უქონლობის მიუხედავად, იგი მაინც წარმოსდგება ჩვენს ცნობიერებაში: 1. ადამიანის სხეულის წყვილი ორგანოების დასახელებები ხშირად მხოლოდითი რიცხვის ფორმით გვხვდება, მაგრამ აქვს მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობა: **Mir wird's so wohl in deinem Arm**, 2. ნაცვალსახელი **man** + მხოლოდით რიცხვში შეიძლება გამოსატავდეს : ა) უცნობ პირთა სიმრავლეს , ბ) ნაცნობ პირთა სიმრავლეს, გ) ნაცნობ პირთა სიმრავლეს, რომელიც მოიცავს მოლაპარაკე პირსაც. 3. ნაცვალსახელი **es** + ზმნა მხოლოდით

რიცხვში, რომელიც გამოხატავს: ა) მრავალ უცნობ პირთა ან ქმედებების სიმრავლეს: **Nun ist sie wieder ganz allein, und während es um sie jöhelt, sxhreit, winkt, ist Jeanne Freude schal geworden** ( W. Joho „Jeanne Peyrouton“ ბ) მრავალი უცნობი პირის გამოცდილების შედეგს: **Es ging sich angenehm auf der losen Erde, die Füße richten aus** (B. Kellermann „Der 9. November“), გ) უპირო პასიური კონსტრუქცია, რომელიც უცნობ პირთა სიმრავლეს გამოხატავს და წარმოადგენს **man + Vf3**-ის დუბლეტს: **Nur Frauen und Kinder kommen auf den nächtlichen Friedhof, ...Geweint wird nirgends, gesprochen nur wenig, nur das Nötige** (M. Frisch „Stiller“). 4. განუსაზღვრელი სიმრავლე: არსებითი სახელების მდგრადი წყვილი შესიტყვებები: **von Tag zu Tag, Tag für Tag (viele Tage)**. თავისი იდიომატურობის წყალობით მოდელი ქმნის არა მარტო სემას „მრავლობითობა“, არამედ ახალ სემას „განუწყვეტელი განმეორებადობა“: **Der Lautsprecher gab Meldungen um Meldungen** (M. Frisch „Homo Faber“).

#### 6. ექსპლიციტური სიმრავლე ქართულში

ქართულ ენაში არ არის განსაკუთრებული ფორმანტები, რომლებიც აწარმოებენ მხოლოდითი რიცხვის ფორმებს. მხოლოდითი რიცხვის ფორმალური მანვენებლები ემთხვევა ბრუნვით დაბოლოებებს. მრავლობითი რიცხვის ფორმები ქართულში იწარმოება სპეციალური სუფიქსებით: -ებ, -ნ: მთები - მთანი, ველები - ველნი და ა.შ. ლინგვისტურ ლიტერატურაში -ებ სუფიქსით ნაწარმოებ მრავლობით რიცხვს უწოდებენ პირველ მრავლობითს ან ახალ მრავლობითს, ხოლო -ნ სუფიქსიან მრავლობით რიცხვს შესაბამისად - მეორე მრავლობითს ან ძველ მრავლობითს. რამდენადაც მრავლობითის მანვენებელი მარკერი -ნ იხმარება მხოლოდ ორ ბრუნვაში- სახელობითსა და წოდებითში, ხოლო მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში გამოიყენება

-თ, ამიტომ ამ მრავლობით რიცხვს ეწოდება ნართანიანი მრავლობითი, ე. ი. -ნ-სუფიქსით ნაწარმოები მრავლობითი რიცხვი. მრავლობითი რიცხვის ფორმები -ნ/თ-სუფიქსებით ხშირად ხასიათდება ხმარების სპეციფიკურობით: 1. რიცხვით სახელებს ქართულში აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმები, მაგრამ მათი წარმოებისათვის გამოიყენება არა -ებ სუფიქსი, არამედ -ნ სუფიქსი: ორი- ორნი, სამი- სამნი და ა.შ. მას უწოდებენ კლასიკურ ფორმას, რომელიც მოითხოვს სრულ შეთანხმებას არა მარტო ბრუნვაში, არამედ რიცხვშიც. მაგ.: ორი კაცი, ორნი კაცნი, ორთა კაცთა. 2. სუფიქსი -ნ -ის საშუალებით იწარმოება მრავლობითი რიცხვის ფორმები ზოგიერთი ნაცვალსახელიდან: ესენი, ეგენი, ისინი, იგინი, 3. მრავლობითის ფორმებს -ნ სუფიქსით უპირატესობა ენიჭება პოეტურ ენაში თხრობის ექსპრესიული ტონის დროს [გოლეთიანი. 1970:60]:

„თვალწინ მიდგას ის კირთის ბედშაგნი დღენი, როს შენ დაგიპყრო მაკედონის გამირის ლაშქარმა“ (ი. ჭავჭავაძე)

4. მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმები -თ სუფიქსით ძალიან ხშირად აწარმოებენ ერთიან შესიტყვებებს და სხვადასხვა სახის ტერმინებს, მაგ.: მეცნიერებათა აკადემია. ბავშვთა სახლი და ა. შ. ყველა ამ დასახელებაში სუფიქსი -თ მრავალმნიშვნელოვანია: 1. იგი მიუთითებს ბრუნვის ფორმაზე, 2. მას აქვს სიმრავლის მნიშვნელობა, 3. ის წარმოადგენს სიტყვათწარმოებით სუფიქსს. ამასთან მისი ძირითადი ფუნქცია- სიტყვათწარმოებითია, ხოლო მრავლობითობის მნიშვნელობა მასში შესამჩნევად შესუსტებულია, მაგ. სიტყვათშეთანხმებაში „ბავშვთა სახლი“ სუფიქსი -თ გამოხატავს არა რაოდენობრივ ნიშანს, არამედ სიმრავლეს განსაზღვრულ ერთიანობაში, 5. ხშირად იხმარება სულიერ არსებით სახელებთან, მაგ.: „ქართველ

კინომსახიობთა ხელოვნება“. სიტყვების ეს ჯგუფი ივსება უსულო არსებითი სახელებით, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით იხმარება: „ყვავილთა ცრემლი“, „ქვათა ღაღადი“, „ხილთა ქება“

### **7. რიცხვთა კორელაცია საკუთარ სახელებთან ქართულში.**

მრავლობითი რიცხვის ფორმები საკუთარ სახელებთან იხმარება ან ერთი და იგივე ოჯახის წევრების ან ადამიანთა განსაზღვრული ტიპის აღსანიშნავად: დევიძეების ოჯახი; ტარიელ მკლავაძეების ეპოქა დამთავრდა. ნივთიერების მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები აღნიშნავენ სხვადასხვა საგანთა, ნივთიერებათა სახეობებს: ქართული ღვინოები, მინერალური წყლები. ბუნების მოვლენათა აღმნიშვნელი არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვი ქართულისათვის არ არის ნიშანდობლივი, თუმცა აქაიქ გვხვდება ასეთი შემთხვევები: ყინვები ღაღდა.

### **8. მხოლოდ მრავლობითი ფორმით ხმარებული არსებითი სახელები (Pluraliatantum)**

Pluraliatantum-ის არსებით სახელებს განეკუთვნება: 1. საკუთარი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ გეოგრაფიულ ცნებებს: „ბაგები“, „შავშები“, „ფარცხანაყანები“; 2. ზოგიერთი წიგნის, განსაკუთრებით საეკლესიო ხასიათის წიგნების დასახელებები: „დავითნი“, „ამნი“, „მემუარები“, 3. ფულადი თანხების დასახელებები: ”ფინანსები“, „თაენი“, 4. სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელი არსებითი სახელები: „სუბტროპიკები“, „დედანი“. კრებითი სახელების ჯგუფებს განეკუთვნება ქართულში არსებითი სახელები „ნა-“ აფიქსით, რომლებიც აღნიშნავენ: ა) ნივთიერებათა ნარჩენებს; ისინი გადმოიცემიან მიმდებლობითი ფორმებით: „ნარეცხი“, „ნახერხი“ და ა. შ. ზოგ მათგანს ორივე ფორმა (მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვი) გააჩნია: „ნაფცქვენი“ – „ნაფ-

ცქვენები“, „ნარჩენი“ – „ნარჩენები“; ბ) თამაშობების დასახელებანი: „დამალობანა“, „ქალაქობანა“, „კუკუმაღულობა“; გ) სხვადასხვა რიტუალების და დღესასწაულების დასახელებანი: „ქელეხი“, „ნათლობა“, „დღეობა“; დ) დროის მონაკვეთების სახელები: „დღე-ღამე“, „არდაღეგები“; ე) მთების აღმნიშვნელი არსებითი სახელების გადმოსაცემად ძირითადად გამოიყენება სიტყვათშეთანხმებები ძირითადი სიტყვით „მთები“, მაგ.: „კარპატის მთები“, „აპენინის მთები“, მაგრამ შეიძლება მათ ჰქონდეთ მრავლობითი რიცხვის ფორმებიც: „კარპატები“, „აპენინები“. ხშირად ორ ფორმას შორის განსხვავებას სემანტიკური ხასიათი აქვს, მაგ.: „არჩევანი“ – „არჩევნები“. „არჩევნებს“ არ გააჩნია მხოლოდობითი რიცხვის ფორმა ახალ აზრობრივ მნიშვნელობაში, ამდენად ეს არის ახალი, დამოუკიდებელი სიტყვა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით; ან როცა გვაქვს ორი ომონიმიური ფორმა „კადრები“: 1. კინოფირის სურათები, 2. რომელიმე დაწესებულების, საწარმოს მუშათა და მოსამსახურეთა ძირითადი შემადგენლობა, ამ უკანასკნელს არ გააჩნია შესატყვისი მხოლოდობითი რიცხვის ფორმა და ამიტომ გამოიყენება მრავლობითი რიცხვის ფორმით. იმ სიტყვების კატეგორია, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით, ივსება სხვა მეტყველების ნაწილებით სუბსტანტივაციის გზით: „შინაურები“, „ფრთოსანნი“, „ფრინველები“.

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ენაში ტერმინოლოგიური ხასიათის სიტყვები, რომლებიც იწარმოება სიტყვათა ძირების ან სიტყვების შეერთებით: გამასხივები, სათადარიგო ნაწილები და ა. შ. [შანიძე 1953: 75].

### **9. ერთობლივი სიმრავლე ქართულში**

ერთობლივი სიმრავლის გამოხატვის საშუალებები ქართულშიც უხვად არის, როცა

სემას „ერთობლიობა“ ემატება სემა „სიმრავლე“. მოცემული კრებითი სახელებიდან ადამიანთა სიმრავლეს გამოხატავს: „ბრბო“, „გუნდი“, „ჯგუფი“, „რაზმი“, „ჯელგა“, „ხორო“. ადამიანთა და ცხოველთა სიმრავლეს გამოხატავს: „გუნდი“, „ჯოგი“, „ფარა“, „ხროვა“; ცხოველების, მწერების, თევზების, ფრინველების ერთობლივ სიმრავლეს გამოხატავს: „რემა“, „ნახირი“, „კოლტი“, „ნაყარი“. უსულო საგანთა სიმრავლეს კი გამოხატავს: „დასტა“, „შეკვრა“, „ოზმა“, „კონა“, „ლარი“, „ხვაგი“, „ბათმანი“.

კრებითი სახელებიდან ზოგს გააჩნია შეთანხმების უფრო ფართო სპექტრი, ისინი უთანხმდებიან სხვადასხვა თემატიკური ჯგუფის არსებით სახელებს, ზოგი კი შეზღუდული შეთანხმებით გამოირჩევა და მეტად ინფორმატიულია, მაგ.: „რემა“ – ცხენების ჯოგი, „კოლტი“ – ღორების ჯოგი, „ნაყარი“ – ფუტკრების გუნდი. შეთანხმების ფართო სპექტრით გამოირჩევა ორი კრებითი სახელი: „გროვა“ და „დასი“.

**10. იმპლიციტური სიმრავლე ქართულში**

განუწყვეტელი განმეორებით გამოირჩევა ისეთი არსებითი სახელები, როგორიც არის: „შარი-შური“, „ბათქა-ბუთქი“, „აყალ-მაყალი“, რომელთაც გარდა სემებისა „მრავლობითობა“ და „განუწყვეტელი განმეორებადობა“, აქვთ სემა „აკუსტიკურობა“ და ამდენად ხმაბადვით სიტყვათა რიგს განეკუთვნება. ხშირად მხოლოდითი რიცხვის ფორმა გამოხატავს ქართულში არა მხოლოდობას, არამედ მთელი კლასის, ერთგვაროვანი საგნების ან პირების ერთობლიობას: „მსახიობი შემოქმედების სიმწიფის ხანაშია, გეჯერა, რომ იგი მომავალშიც კვლავ დიდ სიხარულს აგრძნობინებს მაყურებელს“, „სტუდენტები ლექციაზე კონსპექტს წერენ“. მრავლობითობის გამოსახატავად ქართულში შეიძლება გამოყენებულ იქნას „სახელის განმეორება“: „სოფლად ბელურა ჩიტების გუნდი და გუნდი ტრიალებს“, ან „გუნდი და გუნდი ვარსკვლავნი მოკაშკაშ-მოელვარეო“. ეს არის ე. წ. იმპლიციტური სიმრავლის შემთხვევები, როცა ზედაპირულად მრავლობითი არა გვაქვს, სიღრმისეულად კი ის მაინც შეიგრძნობა, ან ის ისეთ დუბლეტურ შესიტყვებებში ვლინდება, როგორცაა: „დღითი-დღე“, „დღე და ღამ“, „ღამ-ღამობით“, მაგ.: „რადიო ცნობას ცნობაზე გადმოსცემდა“ და ა.შ.

**დასკვნა**

ყოველივე ზემოთქმული სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს:

**სიმრავლის რეპრეზენტაცია გერმანულსა და ქართულში**

რაოდენობრივი

დახასიათება:

განუსაზღვრელი

სიმრავლე :

**viele Berge**

განსაზღვრული

სიმრავლე :

**fünf Berge**

დაახლოებითი

სიმრავლე:

**etwa 5 Berge**

წმინდა

სიმრავლე:

**die Berge**

მთები

მთანი

ხარისხობრივი

დახასიათება:

ერთობლივი

სიმრავლე:

**das Gebirge**

**eine Reihe Berge**

**die Familie Müller**

**Müllers**

მთიანეთი, მთების

რიგი, ჯაჭვი

ღვევიძის ოჯახი

ღვევიძეები

მხოლოდითი რიცხვის ფორმა სიმრავლის  
აღმნიშვნელ სიდიდესთან:

**ბევრი მთა**

**ხუთი მთა**

**დაახლოებით 5 მთა**

სამეტყველო აქტის მონაწილე პირთა სიმრავლე:

ჩვენ, თქვენ; **wir, ihr**

იმპლიციტური სიმრავლე:

დღე და ღამ, დღითი-დღე,

გუნდი და გუნდი ვარსკვლავნი, ბათქა-ბუთქი,

აყალ-მაყალი, შარი-შური

**Tag für Tag; man erzählt; es wird getanzt;**

**in deinem Arm; hier arbeitet es sich gut;**

**es jubelt und lacht um ihn**

სიმრავლის ენის დომინანტას ორივე ენაში წარმოადგენს არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები, რომლებიც ფორმალურად და სემანტიკურად „სიმრავლის“ სემის მატარებელია. პერიფერიაზე განლაგებულია ექსპლიციტური სიმრავლის რაოდენობრივი მახასიათებლები: განუსაზღვრელი სიმრავლე, განსაზღვრული სიმრავლე, მიახლოებითი სიმრავლე, აქ ქართული ენის თავისებურებაა ის, რომ სიმრავლის აღმნიშვნელ სიდიდესთან გვაქვს მხოლოდითი რიცხვის ფორმა. სიმრავლის ხარისხობრივი მახასიათებლებია ორივე ენაში: ერთობლივი სიმრავლე, რომელიც გამოიხატება უმეტესად კრებითი არსებითი სახელებით, პერიფერიაზეა აგრეთვე სამეტყველო აქტის მონაწილე პირთა სიმრავლე (wir, ihr -ჩვენ, თქვენ- პირის ნაცვალსახელებით). იმპლიციტური სიმრავლე ორივე ენაში უხვა დაა წარმოდგენილი, მაგრამ ქართულისაგან განსხვავებით, გერმანულში უფრო მეტია იმპლიციტური სიმრავლის გამოხატვის სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც ფორმალურად მხოლოდითი რიცხვის მატარებელია, ხოლო სემანტიკურად, ზოგჯერ კონსტრუქციის იდიომატურობის წყალო-

ბით, სიმრავლეს გამოხატავს, ანუ მრავლობითობის სემა აქვს.

## ლიტერატურა

1. ანდრაზაშვილი მ. (1999): გერმანული ენის გრამატიკა სამ წიგნად. წიგნი პირველი - მორფოლოგია. თბილისი
2. Busch A., Stenschke O. (2007) : Germanistische Linguistik. Tübingen
3. Голетиани Г. (1970): Сопоставительная грамматика русского и грузинского языков. Ч. 1. Морфология. Тбилиси
4. Гулыга Е., Шендельс Е. (1969): Грамматико-лексические поля в современном немецком языке. Москва
5. Косякин А. (1962): Категория числа в современном немецком языке. АКД. Москва
6. Koschmieder E. (1965): Beiträge zur allgemeinen Syntax. Heidelberg
7. შანიძე ა. (1953) : ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი
8. Schendels E. ( 1979) : Deutsche Grammatik. Morphologie, Syntax, Text, Moskau



## The field of notion of multitude in the German and Georgian languages

*Marina Jashi*

*Ilia State University*

*Faculty of Science and Art*

*I.Chavchavadze av. 32, 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 899 552 195*

E-mail : [marina\\_dshaschi@yahoo.com](mailto:marina_dshaschi@yahoo.com)

### Abstract

The given article considers and defines the field of notion of multitude in the two non-related - the German and Georgian languages. The article presents the language means used to express the notion of multitude. These means are not uniform and homogenous: some are used regularly, others only infrequently; some express „pure multitude“ (the plural forms of substantive), others modify and define more precisely quantitative relations; some of these means take central place, others- subordinate place (adjectives, pronouns, numbers); collective nouns have a limited but specific role. Some of these means have their meaning in the field of the notion of the multitude. Without these means it is impossible to express clearly and completely the quantitative relations in the language. In both languages, besides explicit plurals there are implicit plurals as well, these imply the cases where in spite of absence of formal signs of plural the notion of multitude is formed in our consciousness.

### Keywords:

„pure multitude“, „idle function“, definite and indefinite quantity, combined multitude, explicit and implicit multitude.

## Поле множественности в немецком и грузинском языках

*Джашаи Марина Николаевна*

*Государственный Университет им. Ильи*

*Факультет Науки и Искусства*

*Пр. И. Чавчавадзе 32, 0179, Тбилиси, Грузия*

*Тел. : 899 552 195*

E-mail : [marina\\_dshaschi@yahoo.com](mailto:marina_dshaschi@yahoo.com)

### Резюме

В данной статье рассматривается и определяется поле множественности в двух неродственных – немецком и грузинском языках. Представлены те языковые средства, которые выражают данное поле. Все эти средства неравноценны и неоднородны: Одни употребляются регулярно, другие – эпизодически, одни выражают «чистую множественность» (формы мн.числа имен существительных), другие уточняют и модифицируют количественные отношения; одни занимают центральное положение, другие – подчиненное (прилагательные, местоимения, числительные). Ограниченной, но специфической ролью характеризуются имена собирательные. Каждое из этих средств имеет свое значение в поле множественности, без них нельзя было бы выразить четко и полно количественные отношения. Кроме эксплицитной множественности, имеется в обоих языках имплицитное множество, когда несмотря на отсутствие формального признака значения множественности, оно все же возникает в нашем сознании.

### Ключевые слова:

«чистая множественность», «холостая функция», определенное и неопределенное количество, совокупное множество, эксплицитное и имплицитное множество.